

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	2
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	4
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6-25

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე.

- ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:
- მართებული საადრიცხვო პოლიტიკის არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
 - ისეთი ინფორმაციის წარდგენაზე, საადრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
 - დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
 - კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
 - ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;


- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ივანე მჭედლიშვილი

ზურაბ სანია

2025 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



აუდიტორული კომპანია
შ.პ.ს. “ჯ. ბ. აუდიტი”
AUDIT COMPANY
“J. B. Audit”, LLC
www.jbauditi.ge



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“-ს და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მის კონსოლიდირებულ ფინანსური საქმიანობის შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 1 377 046 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებების გარკვეული ნაშთების შესახებ, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში წარმოდგენილია შემდეგი ნარჩენი საბალანსო ღირებულებით: 2024 წელი -346 500 ლარი და 2023 წელი - 379 847 ლარი. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ძირითადი საშუალებების აღნიშნული ნაწილის სისწორეზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებასთან მიმართებით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი ნაკადების ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.



2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩვენ ვერ დავესწარიტ გარკვეული მარაგების ინვენტარიზაციას. კომპანიის საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 1 295 714 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მარაგებთან მიმართებით, ასევე კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი ნაკადების ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3-ე შენიშვნაში აღნიშნულია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს 607 740 ლარით ანუ ჯგუფს არა აქვს საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დაფაროს უახლოეს პერიოდში დასაფარი ფინანსური ვალდებულებები, რომ გაუარესებულმა ლიკვიდურობის პირობებმა შესაძლოა გამოიწვიონ ჯგუფის ფინანსური კრიზისი. ეს მდგომარეობა მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ექვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს საქმიანობა უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3-ე შენიშვნაში ჯგუფის უწყვეტი ფუნქციონირებადობის უნარის შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია მენეჯმენტის განაცხადი, რომ საჭიროების შემთხვევაში, მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად ჯგუფის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის ვალდებულებას იკისრებს ჯგუფის დამფუძნებელი პარტნიორები.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჯგუფი 2024 წელს არის მომგებიანი და სტაბილურად ინარჩუნებდა მომგებიანობას და ლიკვიდურობას მრავალი წლის მანძილზე, ასევე ჯგუფის მიერ საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები სრულად უზრუნველყოფდა „საფინანსო საქმიანობასთან“ დაკავშირებლ განაცემებს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.



სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით ავლნიშნავთ, რომ ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა გაცხადება.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს სახით და საჭიროების შემთხვევაში, ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარმოადგინოს განგრძობითობასთან დაკავშირებული საკითხები და სააღრიცხვო მიზნებისთვის გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძვლები, გარდა შემთხვევებისა როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ აქვს რაიმე სხვა რეალური არჩევანი გარდა ზემოთ აღნიშნულისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არ არის გარანტია იმისა, რომ ასს-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მიჩნეული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ცალ-ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც



მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ნაწილის სახით, ჩვენი აუდიტის მსვლელობისას ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ, თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ ვქმნით და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ გამოტოვებებს, არასწორ ასახვას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ვიაზრებთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის სისტემებს, გარემოებების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვის მიზნით, მაგრამ არა ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და ხელმძღვანელობის მიერ, აღნიშნულთან დაკავშირებით გაკეთებულ ახსნა-განმარტებებს.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს აღრიცხვის პრინციპის გამოყენების შესაბამისობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების მიხედვით, ვაფასებთ არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა იმ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპის დაშვებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში გავამახვილოთ ყურადღება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაკავშირებულ ახსნა-განმარტებებზე ან თუ მსგავსი ახსნა-განმარტებები არ არის ადეკვატური, შეცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ჯგუფმა ვერ გააგრძელოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, ახსნა-განმარტებების ჩათვლით და იმას, წარმოაჩენს თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებსა და მოვლენებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი სამართლიანი წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას, ჯგუფის შიგნით საწარმოებისა და ბიზნეს საქმიანობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და მოსწრებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.
- სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობებთ აუდიტის დაგეგმილ მასშტაბებსა და ვადებს და მნიშვნელოვან აუდიტორულ დასკვნებს, ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის სისტემების ნებისმიერი არსებითი ნაკლოვანებების ჩათვლით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით და რამდენად თანხვედრილია საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია.



მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;

და ჩვენი აზრით კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ბესიკ ჯობავა (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-230452**).

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025 წელი

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	6	3,588,156	4,059,697
გადახდილი ავანსები	7	168,791	716,409
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	12,813,535	4,071,979
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	9	3,141,658	4,061,696
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10	455,606	225,285
სულ მიმდინარე აქტივები		20,167,746	13,135,066
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	13,403,484	11,270,888
საინვესტიციო ქონება			-
არამატერიალური აქტივები	12	200,624	201,543
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	7	1,442,991	2,685,721
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,047,099	14,158,152
სულ აქტივები		35,214,845	27,293,218
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	1,607,998	592,110
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		146,802	118,475
გადასახდელი პროცენტები		53,263	20,467
მიღებული ავანსები	14	164,179	835,487
მოკლევადიანი სესხები	15	16,518,526	5,419,139
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	15	2,284,720	1,943,576
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,775,487	8,929,254
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	2,171,746	7,119,009
გადავადებული შემოსავალი გრანტიდან	16	3,751,655	3,751,655
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,923,401	10,870,664
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,062,078	3,062,078
გაუნაწილებელი მოგება		5,453,880	4,431,222
სულ საკუთარი კაპიტალი		8,515,957	7,493,300
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		35,214,845	27,293,218

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

ივანე მჭედლიშვილი

მთავარი ბუღალტერი:

ზურაბ სანაია

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის


კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

აქტივები	მუნიშვნა	31-12-24	31-12-23
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	6	3,588,156	4,059,697
გადახდილი ავანსები	7	168,791	716,409
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	12,813,535	4,071,979
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	9	3,141,658	4,061,696
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10	455,606	225,285
სულ მიმდინარე აქტივები		20,167,746	13,135,066
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	13,403,484	11,270,888
საინვესტიციო ქონება			-
არამატერიალური აქტივები	12	200,624	201,543
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	7	1,442,991	2,685,721
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,047,099	14,158,152
სულ აქტივები		35,214,845	27,293,218
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	1,607,998	592,110
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		146,802	118,475
გადასახდელი პროცენტები		53,263	20,467
მიღებული ავანსები	14	164,179	835,487
მოკლევადიანი სესხები	15	16,518,526	5,419,139
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	15	2,284,720	1,943,576
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,775,487	8,929,254
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	2,171,746	7,119,009
გადავადებული შემოსავალი გრანტიდან	16	3,751,655	3,751,655
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,923,401	10,870,664
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,062,078	3,062,078
გაუნაწილებელი მოგება		5,453,880	4,431,222
სულ საკუთარი კაპიტალი		8,515,957	7,493,300
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		35,214,845	27,293,218

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



ივანე მჭედლიშვილი

ზურაბ სანაია

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	17	43,149,364	39,106,500
სხვა საოპერაციო შემოსავლები	17	118,334	6,272
სულ საოპერაციო შემოსავლები		43,267,698	39,112,772
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(28,486,067)	(25,627,097)
პერსონალის დანახარჯი		(467,595)	(575,088)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი		(17,736)	(16,901)
იჯარის ხარჯი		(52,323)	(54,344)
ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი	19	(4,341,060)	(4,306,160)
სხვა საგადასახადო ხარჯები		(137,257)	(181,209)
ცვეთა და ამორტიზაცია		(13,871)	(13,528)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	20	(240,029)	(163,967)
სულ საოპერაციო ხარჯები		(33,755,939)	(30,938,295)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		9,511,760	8,174,477
ფინანსური დანახარჯები	21	(1,793,097)	(1,817,635)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან და გადაფასებებიდან		(769,720)	(303,344)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	22	79,118	51,968
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	23	(43,205)	(72,735)
		(2,526,905)	(2,141,745)
მოგება დაბეგრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		6,984,855	6,032,732
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება			
მოგება დაბეგრის შემდეგ		6,984,855	6,032,732
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	6,984,855	6,032,732

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

ივანე მჭედლიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ზურაბ სანაია

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	17	43,149,364	39,106,500
სხვა საოპერაციო შემოსავლები	17	118,334	6,272
სულ საოპერაციო შემოსავლები		43,267,698	39,112,772
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(28,486,067)	(25,627,097)
პერსონალის დანახარჯი		(467,595)	(575,088)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი		(17,736)	(16,901)
იჯარის ხარჯი		(52,323)	(54,344)
ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი	19	(4,341,060)	(4,306,160)
სხვა საგადასახადო ხარჯები		(137,257)	(181,209)
ცვეთა და ამორტიზაცია		(13,871)	(13,528)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	20	(240,029)	(163,967)
სულ საოპერაციო ხარჯები		(33,755,939)	(30,938,295)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		9,511,760	8,174,477
ფინანსური დანახარჯები	21	(1,793,097)	(1,817,635)
წმინდა მოგება/ზარალი საკუთრის სხვაობიდან და გადაფასებებიდან		(769,720)	(303,344)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	22	79,118	51,968
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	23	(43,205)	(72,735)
		(2,526,905)	(2,141,745)
მოგება დაბეგრამდე და განსაკუთრებულ მუხლოებამდე		6,984,855	6,032,732
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება			
მოგება დაბეგრის შემდეგ		6,984,855	6,032,732
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	6,984,855	6,032,732

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი

ივანე მჭედლიშვილი

ზურაბ სანაია

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
იშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,062,077	4,329,152	7,391,229
ორექტირება		(7,141)	(7,141)
ერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		6,032,732	6,032,732
ანაწილებული დივიდენდი		(5,923,520)	(5,923,520)
იშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,062,077	4,431,223	7,493,300
ორექტირება		(13,222)	(13,222)
ერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		6,984,855	6,984,855
ანაწილებული დივიდენდი		(5,948,976)	(5,948,976)
იშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,062,077	5,453,880	8,515,957

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

ივანე მჭედლიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ზურაბ სანაია

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის


კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
საშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,062,077	4,329,152	7,391,229
ორექტირება		(7,141)	(7,141)
ერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		6,032,732	6,032,732
ანაწილებელი დივიდენდი		(5,923,520)	(5,923,520)
საშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,062,077	4,431,223	7,493,300
ორექტირება		(13,222)	(13,222)
ერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		6,984,855	6,984,855
ანაწილებელი დივიდენდი		(5,948,976)	(5,948,976)
საშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,062,077	5,453,880	8,515,957

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი



ივანე მჭედლიშვილი

ზურაბ სანაია

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31-12-24	31-12-23
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	43,431,724	37,369,138
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(39,549,532)	(28,511,265)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2,633,014)	(2,517,421)
გადახდილი გადასახადები	(2,350,025)	(1,553,663)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი სახსრები	5,013,229	4,410,983
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(137,837)	(170,386)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,774,545	9,027,387
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,240,458)	(2,430,198)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(3,877)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,240,458)	(2,434,075)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	11,548,927	21,830,564
სესხების დაფარვა	(5,464,085)	(22,567,192)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(1,760,281)	(1,821,965)
გადახდილი დივიდენდები	(5,948,976)	(5,923,520)
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-	938,615
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,624,415)	(7,543,498)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(381,213)	(371,357)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(471,541)	(1,321,544)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	4,059,698	5,381,242
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	3,588,156	4,059,698

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

ივანე მჭედლიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ზურაბ სანაია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31-12-24	31-12-23
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	43,431,724	37,369,138
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(39,549,532)	(28,511,265)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2,633,014)	(2,517,421)
გადახდილი გადასახადები	(2,350,025)	(1,553,663)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი სახსრები	5,013,229	4,410,983
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(137,837)	(170,386)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,774,545	9,027,387
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,240,458)	(2,430,198)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(3,877)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,240,458)	(2,434,075)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	11,548,927	21,830,564
სესხების დაფარვა	(5,464,085)	(22,567,192)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(1,760,281)	(1,821,965)
გადახდილი დივიდენდები	(5,948,976)	(5,923,520)
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-	938,615
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,624,415)	(7,543,498)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(381,213)	(371,357)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(471,541)	(1,321,544)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	4,059,698	5,381,242
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	3,588,156	4,059,698

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი




ივანე მჭედლიშვილი

ზურაბ სანაია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი. ჯგუფი და მისი ოპერაციები

ჯგუფი შედგება შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“-სა (მშობელი კომპანია) და მისი შვილობილი შპს „სულფეკო“-საგან, რომელშიც „მშობელი კომპანია“ ფლობს 100%-იან წილს. შპს „სულფეკო“ დაარსდა 2019 წლის 29 ნოემბერს.

ჯგუფის შექმნის თარიღია 29/11/2019 წელი.

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 216330325, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 1997 წლის 29 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ქ. რუსთავი, მშვიდობის, ქ. №2. კომპანიას 21/11/2023 წლიდან ხელმძღვანელობს ივანე მჭედლიშვილი (პ/ნ 01012008127)

მშობელი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მზა საკვების წარმოება ფერმის ცხოველებისათვის, რაც ასევე ჯგუფის ძირითად საქმიანობასაც წარმოადგენს. შვილობილი „კომპანიის“ მიერ იგეგმება გოგირდმჟავას წარმოება (ძირითადი არაოგანული ნაერთების წარმოება). „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

„მშობელი კომპანიის“ 100% წილის მფლობელი არის შპს ჯი ემ ენ კომპანი (ს/ნ 204527100), 2023 წელს დირექტორი მიხეილ ბუსხრიკიძე (პ/ნ 01007011417), ხოლო 19/02/2024 წლიდან ზურაბ სანაია (პ/ნ , 62006035998). კომპანიის 20% წილის მფლობელია რევაზ გაგანიძე (პ/ნ 01019010016), 35% წილის მფლობელია ბადრი ჯობავა (4608128184 რუსეთის ფედერაცია) და 45% წილის მფლობელია ედუარდ ჯეჯეია (პ/ნ 01924093303). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მოთხოვნით.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი მომგებიანია, თუმცა ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები 607 740 ლარით აღემატება მიმდინარე აქტივებს ანუ ჯგუფს არა აქვს საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დაფაროს უახლოეს პერიოდში დასაფარი მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები, თუმცა მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

1. 2024 წელს „ჯგუფი“ კვლავ მომგებიანია და მრავალი წლის მანძილზე სტაბილურად ინარჩუნებს მოგებიანობას.

2. 2024 წელს ჯგუფმა „საოპერაციო საქმიანობიდან“ მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი „ფინანსური“ საქმიანობის განსახორციელებლად.

3. 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ხელმძღვანელობა ასევე აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად, ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის ვალდებულებას იკისრებს ჯგუფის დამფუძნებელი პარტნიორები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

4. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

a) უცხოური ვალუტა

„ჯგუფის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი

აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედისავალუტო კურსების შესაბამისად.

ბ) **ძირითადი საშუალებები**

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად „ჯგუფი“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „ჯგუფი“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ii. ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	წელი
შენობა-ნაგებობები	10-50
მანქანა დანადგარები	10-50
ოფისის აღჭურვილობა	10-30
კომპიუტერული ტექნიკა	10-20
სატრანსპორტო საშუალებები	20-30

iii. აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ანაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

c) საინვესტიციო ქონება

„ჯგუფი“ საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. აღიარების შემდგომი შეფასებისას, საინვესტიციო ქონებას, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ჯგუფი აფასებს რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით.

d) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივი სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არკლასიფიცირდება ამონაგებად.

„ჯგუფი“ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად.

d) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შემენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ

მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

e) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

მს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით, ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის.

„ჯგუფი“ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „ჯგუფი“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „ჯგუფი“ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრები და მისი ექვივალენტები.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების

საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც „ჯგუფმა“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, „ჯგუფი“ აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. „ჯგუფი“ ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსურიაქტივის გაუფასურებას.

საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მოგებაში ან ზარალში. სესხები და მისაღები ანგარიშები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების პერსპექტივა არ არსებობს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები.

„ჯგუფი“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით. „ჯგუფის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და სესხის მიღების ვალდებულებებს.

ადიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ ფინანსური ვალდებულებების ადიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც

„ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

f) რისკების მართვა

ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, „ჯგუფი“ შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკის მართვის სისტემა

„ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის სისტემის დაწესებაზე და გადახედვაზე, ასევე მის განვითარებასა და ზედამხედველობაზე და მფლობელებისათვის მისი მოქმედების შესახებ რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „ჯგუფი“-ს ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და „ჯგუფს“ ძირითადად წარმოეშვება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და შესაბამისად სჯერა, რომ „ჯგუფს“ არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

ფინანსური აქტივები	31-12-24	31-12-23
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტი	3,588,156	4,059,697
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	3,141,658	4,061,696
სულ ფინანსური აქტივები	6,729,814	8,121,393

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „ჯგუფი“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების საშუალებით. კვლევის მიერ ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, ჯგუფს ყოველთვის ქონდეს დავალიანების შესაბამისი გადახდისუნარიანობა, როგორც ჩვეულ ასევე სტრესულ სიტუაციაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშდაყენების თავიდან აცილებითა და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ჯგუფს არ აქვს ლიკვიდური რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

ფინანსური ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
სესხები	20,974,992	14,481,724
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,607,998	592,110
სულ ფინანსური ვალდებულებები	22,582,989	15,073,834

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს წარმოექმნება ლიკვიდურობის პრობლემები, შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება მისი მფლობელისგან.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ჯგუფი არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას, მოგება ან ზარალში ვოლატარულობის სამართავად.

v) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

	2024					2023				
	ლარი	დოლარი	რუბლი	ევრო	ჯამი	ლარი	დოლარი	ევრო	რუბლი	ჯამი
ფინანსური აქტივები										
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტი	10,803	3,577,353			3,588,156	205,692	3,854,005			4,059,697
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	-	3,135,382		6277	3,141,659	-	3,908,171	153,525		4,061,696
სულ ფინანსური აქტივები	10,803	6,712,735		6,277	6,729,815	205,692	7,762,176	153,525	-	8,121,394
ფინანსური ვალდებულებები										
სესხები	4,355,317	16,619,675			20,974,992	9,062,585	5,419,139			14,481,724
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,361,717	190,453	55,827		1,607,998	507,837	15,722	2,810	65,740	592,110
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,717,034	16,810,128	55,827	-	22,582,989	9,570,422	5,434,861	2,810	65,740	15,073,834
წმინდა სავალუტო პოზიცია	(5,706,231)	(10,097,393)	(55,827)	6,277	(15,853,175)	(9,364,730)	2,327,315	150,715	(65,740)	(6,952,441)

(vi) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალ ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალეზადი განაკვეთით) ზეგავლენით. ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა, განსაზღვროს რისკის მიმართ ჯგუფის განფენილობის რა ნაწილი უნდა იყოს ფიქსირებული და რა ნაწილი ცვალეზად განაკვეთზე დამოკიდებული. თუმცა, თითოეული სესხის ალებისას ხელმძღვანელობა საზღვრავს, სესხის ვადის ამოწურვამდე ჯგუფისთვის რომელი უფრო ხელსაყრელი იქნება - სესხის ფიქსირებული განაკვეთი თუ ცვალეზადი.

გ) გადასახადები

i. მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „ჯგუფი“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „ჯგუფის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„ჯგუფის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების

ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღ-ით დასაბეგრი ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღ-ის ჩათვლის უფლებით განთავსდებიან ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

iii. საშემოსავლო გადასახადი

„ჯგუფი“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

h) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ჯგუფს, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის

საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა ჯგუფის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯადსრული შემოსავლი ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

თუ ჯგუფი გამოდის მეიჯარედ ისეთ საიჯარო ურთიერთობაში, რომელშიც არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა მეიჯარისგან ჯგუფზე, მთლიანი საიჯარო გადასახადი აისახება მოგებაში ან ზარალში. (იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით)

i) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

j) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „ჯგუფს“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი.

k) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. „ჯგუფის“ ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

l) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

m) ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

n) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდებამუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და

გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვლის განაკვეთის კორექტირება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

შენიშვნა 6

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტი

	31-12-24	31-12-23
ფული სალაროს ანგარიშზე	2,692	199,737
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე	8,111	5,955
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე(დოლარი)	3,577,353	3,854,005
სულ	3,588,156	4,059,697

შენიშვნა 7

გადახდილი ავანსები

	31-12-24	31-12-23
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	168,791	716,409
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	1,442,991	2,685,721
სულ	1,611,783	3,402,130

შენიშვნა 8

სასაქონლო-მატერიალური ფასულობები

	31-12-24	31-12-23
საქონელი	145,428	148,391
ნედლეული და მასალები	973,755	620,454
ძირითადი მასალები	10,392,822	1,674,631
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	1,301,531	1,628,503
სულ	12,813,535	4,071,979

მზა პროდუქცია მოიცავს ექსპორტის რეჟიმით რეალიზებულ, 817 950 ლარის თვითღირებულების მქონე საქონელს გზაში, რომელსაც ყველა რისკი და სარგებელი გარდამავალ პერიოდებში არ იყო გადასული მყიდველზე, ხოლო ძირითადი მასალები მოიცავს 7 137 800 ლარის ოდენობის შესყიდულ მანგანუმის კონცენტრანტს (ნედლეულს), რომელზეც საკუთების უფლება გადმოსულია მყიდველზე, თუმცა 2024 წლის 31 დეკემბერს იმყოფება გზაში.

შენიშვნა 9

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	31-12-24	31-12-23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,545,530	4,465,567
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(403,871)	(403,871)
სულ	3,141,658	4,061,696

	31-12-24	31-12-24	31-12-23	31/12/2023
დებიტორული დავალიანების ვადიანობა	სულ	გაუფასურება	სულ	გაუფასურება
0-30 დღემდე	2,448,844		2,312,406	
31-120 დღემდე	692,818		1,749,291	
180 დღეზე მეტი	403,870	403,870	403,870	403,870
	3,545,532	403,870	4,465,567	403,870

შენიშვნა 10

სხვა მოკლევადიანი აქტივები	31-12-24	31-12-23
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	245	632
ავანსად გადახდილი შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები	52,680	47,880
წინასწარ გადახდილი გადასახადები	402,681	176,772
სულ	455,606	225,285

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 11

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ლარი								
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	938,800	3,213,944	2,875,382	171,355	60,098	5,318,709	263,513	12,841,800
შემოსვლა			96,549	2,438	4,250	1,041,586		1,144,823
გასვლა							(78,246)	(78,246)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	938,800	3,213,944	2,971,930	173,793	64,348	6,360,294	185,268	13,908,377
შემოსვლა		310,977	104,957	3,615	5,465	1,990,798	152,065	2,567,878
გასვლა			(933)	(417)		(187,576)		(188,926)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	938,800	3,524,921	3,075,954	176,992	69,813	8,163,516	337,332	16,287,329
ცვლელთა გაუფასურება								
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,440,703)	(865,408)	(40,451)	(16,255)	-	(56,335)	(2,419,152)
დარიცხვა		(95,271)	(116,688)	(8,932)	(3,217)		(6,448)	(230,557)
გასვლა							12,219	12,219
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,535,975)	(982,096)	(49,383)	(19,473)	-	(50,564)	(2,637,490)
დარიცხვა		(95,865)	(125,896)	(8,941)	(3,530)		(12,737)	(246,968)
გასვლა			482	130				612
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,631,839)	(1,107,509)	(58,195)	(23,002)	-	(63,300)	(2,883,846)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022 წელი	938,800	1,773,241	2,009,974	130,904	43,843	5,318,709	207,178	10,422,648
31 დეკემბერი 2023 წელი	938,800	1,677,969	1,989,835	124,410	44,875	6,360,294	134,704	11,270,887
31 დეკემბერი 2024 წელი	938,800	1,893,082	1,968,445	118,797	46,811	8,163,516	274,032	13,403,483

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 12

არამატერიალური აქტივები	პროგრამა	სხვა არამატერიალური აქტივი	ჯამი
ლარი			
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,448	193,234	201,681
შემოსვლა	3,286		3,286
გასვლა			-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,733	193,234	204,967
შემოსვლა			-
გასვლა			-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,733	193,234	204,967
ცვეთა გაუფასურება			
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,726)	-	(2,726)
დარიცხვა	(697)		(697)
გასვლა			-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3,423)	-	(3,423)
დარიცხვა	(920)		(920)
გასვლა			-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(4,343)	-	(4,343)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022 წელი	5,721	193,234	198,955
31 დეკემბერი 2023 წელი	8,310	193,234	201,543
31 დეკემბერი 2024 წელი	7,390	193,234	200,623

შენიშვნა 13

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31-12-24	31-12-23
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	1,607,998	592,110
სულ	1,607,998	592,110

შენიშვნა 14

მიღებული ავანსები	31-12-24	31-12-23
მიღებული ავანსები	164,179	835,487
სულ	164,179	835,487

შენიშვნა 15

სასესხო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
მოკლევადიანი სესხები	16,518,526	5,419,139
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	2,284,720	1,943,576
გრძელვადიანი სესხები	2,171,746	7,119,009
სულ	20,974,992	14,481,724

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31-12-24 საბალანსო დირექტული	31-12-23 საბალანსო დირექტული
სესხები ბანკისგან	GEL	12%-14%	30-10-26	4,355,317	6,298,894
სესხები ბანკისგან	USD	TERM SOFT +4%(MIN) -8%(MAX)	07-07-24	-	5,419,139
სესხები ბანკისგან	GEL	12%-14%	30-10-26	-	2,763,692
სესხები ბანკისგან	USD	TERM SOFT +6%(MIN) არანაკლებ 9.5%-ისა	29-01-27	101,149	
სესხები ბანკისგან	USD	TERM SOFT +4.6%(MIN) არანაკლებ 9%-ისა	19-03-25	9,393,165	
სესხები ბანკისგან	USD	9.5%	23-09-25	7,125,361	
სულ				20,974,992	14,481,724

2025 წლის 16 ივლისს საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიამ საბრუნავი საშუალებების დაფინანსების მიზნით ბანკისგან დამატებით მოიზიდა 3 000 000 აშშ დოლარის სესხი.

კომპანიის უძრავი/მოძრავი ქონება დატვირთულია გირავნობა/იპოთეკის უფლებით სს“ საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ.

შენიშვნა 16

გადავადებული შემოსავალი გრანტიდან

აწარმოე საქართველოს პროგრამის ფარგლებში მიღებული
დაფინანსება

სულ

31-12-24

3,751,655

3,751,655

31-12-23

3,751,655

3,751,655

შენიშვნა 17

საოპერაციო შემოსავლები

შემოსავალი რეალიზაციიდან

სხვა შემოსავალი

სულ

2024

43,149,364

118,334

43,267,698

2023

39,106,500

6,272

39,112,772

შენიშვნა 18

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

სულ

2024

(28,486,067)

(28,486,067)

2023

(25,627,097)

(25,627,097)

შენიშვნა 19

ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი

სადეკლარანტო მომსახურება

მზა პროდუქციის ტრანსპორტირების და ექსპედიციის ხარჯი

მიწოდების ხარჯი

სულ

2024

(12,975)

(3,936,400)

(391,685)

(4,341,060)

2023

(5,777)

(3,870,557)

(429,826)

(4,306,160)

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 20

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	2024	2023
წარმომადგენლობითი ხარჯები	(6,504)	(16,489)
საქველმოქმედო ხარჯები	(3,015)	(2,933)
მივლინების ხარჯები	-	-
ბანკის მომსახურების ხარჯი	(44,537)	(37,983)
საპენსიო შენატანები	(2,413)	(3,251)
საკანცელარიო ნივთების ხარჯი	(2,316)	(4,675)
სხვა საერთო ხარჯი	(19,450)	(7,707)
საწვავის ხარჯი	(6,458)	(13,747)
დაზღვევის ხარჯი	(6,315)	(3,982)
მომსახურების ხარჯები	(149,022)	(73,201)
სულ	(240,029)	(163,967)

შენიშვნა 21

ფინანსური დანახარჯები	2024	2023
სესხზე გადახდილი პროცენტები	(1,793,097)	(1,817,635)
სულ	(1,793,097)	(1,817,635)

შენიშვნა 22

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	79,118	51,968
სულ	79,118	51,968

შენიშვნა 23

სხვა არასაოპერაციო ხარჯი	2024	2023
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(738)	(66,027)
დაკისრებული ჯარიმები	(11,578)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(30,890)	(6,708)
სულ	(43,205)	(72,735)

24. საოპერაციო გარემო

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო, რაც მალევე აისახა როგორც რუსულ რუბლსა და რუსული კომპანიების აქციებზე, ასევე ქართულ ლარზე. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. ფართომასშტაბიანმა ომმა და რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციების მიზანი რუსეთის ეკონომიკის დასუსტებაა, რათა რუსეთმა ვერ შეძლოს საგარეო ვაჭრობიდან მიღებული თანხებით შეიარაღების წარმოება და საომარი მოქმედებების დაფინანსება.

რუსეთი და უკრაინა არიან საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორები, განსაკუთრებით, ვაჭრობის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების მიმართულებით და მოსალოდნელია, რომ ომს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე ანუ გამოიწვევს შემოსავლების მნიშვნელოვან შემცირებას.

2022 წელს ქართული ლარი მნიშვნელოვნად აფასდა უცხოურ ვალუტასთან მიმართებით საქართველოში გადმოსახლებული რუსეთის და უკრაინის მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ფულადი გზავნილების ფონზე და გაზრდილი მოთხოვნის შედეგად უძრავი ქონების ფასებიც გაიზარდა. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, საბოლოოდ რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის საქართველოს ეკონომიკაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. იგი აღნიშნავს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფართომასშტაბიან ომის, ჯგუფის ეკონომიკურ აქტივობაზე ზემოქმედების დადებით ტენდენციებს 2022 წლის განმავლობაში , მაგალითად: ევროკავშირის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, კერძოდ გარკვეული პროდუქციის იმპორტის აკრძალვამ და სატრანსპორტო შეზღუდვებმა შედეგად გამოიწვია ჯგუფის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ბაზრებზე (2022-2024წწ) ანუ დამკვეთებმა 2022 წლის განმავლობაში მაქსიმალური მაღისხმევა და რესურსები მიმართეს მარაგების შესაქმნელად , რამაც გამოიწვია გაყიდვების მოცულობისა და ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა 2023 წელს დაიწყო უკუ პროცესი ანუ მომხმარებლებმა დაიწყეს თავიანთი წინა წლის მარაგების მოხმარება/ამოწურვა, რამაც შესაბამისად გამოიწვია ჯგუფის პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება და შესაბამისად , შემოსავლებიც შემცირდა .

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელიც ომს შეიძლება ჰქონდეს ჯგუფზე, რადგან გაურკვეველია ომის ზოგად ეკონომიკაზე ზემოქმედების სიდიდეც. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას , მოვლენების განვითარებას და იგი თვლის, რომ ჯგუფის ბიზნესის მდგრადობის და ხელშეწყობის მიზნით იღებს ყველა საჭირო ზომას. მაგალითად აღსანიშნავია , რომ 2024 წელს შეინიშნება შემოსავლის ზრდის დადებითი ტენდენციები ანუ 2024 წლის ჯგუფის შემოსავლი 2023 წელთან მიმართებაში გაიზარდა 10 % ით.

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	მშობელი საწარმო	უმაღლესი ხელმძღვანელი
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		66,391
განაწილებული დივიდენდი	5,948,976	
პერსონალის დანახარჯი		189,184

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	მშობელი საწარმო	უმაღლესი ხელმძღვანელი
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		81,255
განაწილებული დივიდენდი	5,923,520	
პერსონალის დანახარჯი		243,155

26. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის ჯგუფს მშობელ კომპანიაზე გაცემული აქვს დივიდენდი 3 462 261 ლარი.

2024 წლის გეუფის კონსოლიდირებული
მმართველობითი ანგარიშგება
შპს ემენ ქემიკალ ჯორჯია
ს/კ 216 330 325

დირექტორი :
ივანე მჭედლიშვილი



შალვაშვილი

30.09.2025

თარიღი

სარჩევი

ჯგუფის მიმართვა.....	3
კომპანიის ისტორია და ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა.....	4
ჯგუფის მისია და სტრატეგია.....	7
ჯგუფის სტრატეგიული მიმართულებები.....	7
ორგანიზაციული სტრუქტურა.....	7
სვოტ ანალიზი.....	10
ჯგუფის განვითარება და მიზნები.....	10
კლიენტის კმაყოფილება.....	11
ჯგუფის შიდა პოლიტიკა.....	11
ჯგუფის სოციალური და დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები.....	11
ჯგუფში შემავალი კომპანიების პერსონალის შერჩევა, ვალდებულებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.....	12
ჯგუფში შემავალი კომპანიების უსაფრთხოება.....	13
ჯგუფში შემავალ კომპანიებში ჯამრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება.....	13
ფინანსური მაჩვენებლები.....	15
ბაზრის მიმოხილვა და ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიის პოზიციონირება.....	15



ჯგუფის მიმართვა

ჩვენ გარშემო სამყარო სწრაფად იცვლება. ამიტომ, თუ გვსურს, რომ შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ჩვენი პოზიცია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ადეკვატურად ვპასუხობდეთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ საბაზრო გამოწვევებს. ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი ჩვენთან წარმოებული პროდუქციის მომხმარებლებია, რასაც გამოვხატავთ არამხოლოდ მათდამი ეთილგანწყობითა დავალდებულებით, არამედ პროდუქციისმუდმივი განახლებითა და ხარისხით.

2024 წელს ჯგუფი ახერხებს ბოლო წლების დადებითი ტენდენციის შენარჩუნებას, 2023 წელთან მიმართებაში ფიქსირდება შემოსავლების 10 % იანი ზრდა, თუმცა 2023 წელს შეინიშნებოდა 2022 წელთან მიმართებაში შეინიშნება შემოსავლების შემცირება, რაც გამოწვეული იყო უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ ევროკავშირის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, კერძოდ გარკვეული პროდუქციის იმპორტის აკრძალვამ და სატრანსპორტო შეზღუდვებმა შედეგად გამოიწვია ჯგუფის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ბაზრებზე (2022-2024წწ) ანუ დამკვეთებმა 2022 წლის განმავლობაში მაქსიმალური ძალისხმევა და რესურსები მიმართეს მარაგების შესაქმნელად, რამაც გამოიწვია ფასებისა და გაყიდვების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა 2023 წელს დაიწყო უკუ პროცესი ანუ მომხმარებლებმა დაიწყეს თავიანთი წინა წლის მარაგების მოხმარება/ამოწურვა, რამაც შესაბამისად გამოიწვია ჯგუფის პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება და შესაბამისად, შემოსავლებიც შემცირდა.

გვაქვს სტრატეგია წინსვლისა და განვითარების, რომელმაც უფრო მეტ წარმატებამდე უნდა მიგვიყვანოს. ჩვენი მიზანია, ვაქციოთ წარმოება და ექსპორტი ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად, რაც ამ სტრატეგიის მთავარი ნაწილია. მთელ ჩვენს გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს მივმართავთ იმისაკენ, რომ დამზადებული პროდუქცია უკეთ მოვარგოთ მომხმარებელთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

ჩვენ მიერ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მაღალი სტანდარტით შესრულება კარგად მართულ ორგანიზაციას ნიშნავს. „ჯგუფი“-სთვის მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ არსებული მმართველობითი პრაქტიკა, რაც აუცილებელია ჩვენი შესაძლებლობების უფრო მეტად გაზრდისა და ბიზნესის გრძელვადიანი მდგრადობისათვის.

ჩვენი წარმატება, რა თქმა უნდა, ემყარება თანამშრომლების პროფესიონალიზმს. ჩვენი თანამშრომლები ყოველდღიურად თავდაუზოგავად მუშაობენ იმისთვის, რათა გაამართლონ მომხმარებელთა მოლოდინები და გახადონ „ჯგუფი“ გამორჩეული. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მათ პროფესიონალურად და შესაძლებლობების მაქსიმუმით შესრულებული სამუშაოებისთვის. გვჯერა, რომ მათთან ერთად განვაგრძობთ წარმატებული

კომპანიის ისტორია და ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“, ს/კ 216330325 (შემდგომში - „კომპაია“), დაარსდა 1997 წელს. დაარსების დღიდან დღემდე „კომპანიამ“ სამეწარმეო რეესტრში გაიარა ცვლილების რამდენიმე ეტაპი. „კომპანია“ მდებარეობს ქალაქ რუსთავში, ინდუსტრიულ ზონაში. კომპანია წარმოადგენს შპს სულფეკოს (ს/ნ 416 350 059) 100 % წილის მფლობელს, რომელიც დაფუძნდა 29/11/2019 წელ (შემდგომში ორივე კომპანია - „ჯგუფი“). შვილობილი „კომპანიის“ მიერ იგეგმება გოგირდმჟავას წარმოება (ძირითადი არაოგანული ნაერთების წარმოება).

„ჯგუფი“ ფუნქციონირებს დაახლოებით 4700 მ² ფართზე და ორ სართულზეა განთავსებული, რომელთაგან თითოეულს თავისი კონცეფცია გააჩნია. პირველი სართულზე ძირითადი წარმოების ხაზია განთავსებული ხოლო მე-2 სართულზე - ლაბორატორია და ადმინისტრაცია. „ჯგუფი“-ს საქმიანობას წარმოადგენს ქიმიური პროდუქციისა და ნედლეულის წარმოება და ვაჭრობა. „ჯგუფი“-ს მიერ წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი განკუთვნილია საექსპორტო ბაზრებისთვის. ექსპორტი ხორციელდება მსოფლიოს ორმოცამდე ქვეყანაში, ძირითადი საექსპორტო ბაზარია ევროკავშირის ქვეყნები.



„ჯგუფი“ კონცენტრირებულია ორი ძირითადი პროდუქტის წარმოებაზე:

- მანგანუმის ოქსიდი (MnO) – ძირითადად გამოიყენება ცხოველთა საკვების დანამატად, ასევე აქტიურად იყენებენ სასუქებში, საღებავისა და გამაგრებელი სასმელების დამზადებაში, ფორმულირებად ქიმიკატებში (მანგანუმის სულფატი, მანგანუმის კარბონატი, ზოგიერთ პესტიციდებში, ფუნგიციდებში და ა.შ.)
- მანგანუმის დიოქსიდი (MnO_2) - ელემენტების წარმოებისათვის აუცილებელი კომპონენტია, მას ასევე იყენებენ საღებავების, ფერადი მინისა და კერამიკის წარმოებაში. გრანულირებულ მანგანუმის დიოქსიდს აქტიურად გამოიყენებენ წყლის დაწმენდისთვის, კონკრეტულად, წყლიდან რკინის განცალკევებისთვის და აგურის წარმოებაში, ფერის პიგმენტად.

ზემოთ აღნიშნულ ორ პროდუქტთან ერთად, „ჯგუფი“ მომავალში გეგმავს, აწარმოოს მანგანუმის სულფატის მონოჰიდრატი და ასევე, მის საწარმოებლად საჭირო ძირითადი ნედლეული, გოგირდმჟავა. პროდუქტების საწარმოებლად „ჯგუფი“ არსებული საწარმოოს ტერიტორიაზე აშენებს გოგირდმჟავისა და სულფატის საწარმოებს.

„ჯგუფი“ მადანს ყიდულობს ჯორჯიან მანგანუმის შვილობილი კომპანიისგან, შპს „ემენკორპისგან“. მადანის მოპოვება ხდება შემდეგნაირად - მადანი მისი სიმძიმის გამო მიწის ფენის ქვედა ნაწილშია კონცენტრირებული. ხდება მისი ამოღება, გარეცხვა და შემდგომ ადგილზე შეშრობა და სარეალიზაციოდ გამზადება.

„ჯგუფი“-ს მიერ ხდება შესყიდული მადნის კონცენტრატის სპეციალურ ღუმელში გამოშრობა, მადანი ვაკუუმით შედის, შრება და იფქვება წისქვილში (მხოლოდ დაფქვილი მადანი წარმოადგენს დიოქსიდს). დაფქვის შემდეგ აღმდგენ ღუმელში ემატება ბუნებრივი აირი, და გარდაიქმნება MnO ოქსიდად. აღდგენის შემდეგ მანე ნივთიერებები იკარგება და პროდუქტი შეიცავს 60-62% მადანს. საბოლოო პროდუქტის ხარისხი სწორედ მადნის შემცველობაზეა დამოკიდებული. 60- 62% მადნის შემცველი ოქსიდი მიიჩნევა პრემიუმ ხარისხის პროდუქტად.

„ჯგუფი“ პროდუქტებს აწარმოებს ევროპული სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით. „ჯგუფი“ მუშაობს ISO 9001:2008, ISO 9001:2015 და FAMI-QS-ის სრული დაცვით. პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგია უზრუნველყოფს მძიმე ლითონებისა და Furans და PCB-ის დაბალ შემცველობას საბოლოო პროდუქტში.

2014 წლის დეკემბრის თვიდან „ჯგუფს“ აქვს საკუთარი ლაბორატორია, სადაც ყველა მინარევს ანალიზი უკეთდება Agilent 4200 MP-AES დანადგარის საშუალებით. ლაბორატორიაში მოწმდება წარმოებული პროდუქციის ხარისხი და მანგანუმის ოქსიდის შემცველობა. პარალელურად ანალიზურ ლაბორატორიაში ხორციელდება ნედლეულის (მანგანუმის მადნის კონცენტრატი), ნახევარპროდუქტებისა და მზა პროდუქციის ქიმიური და ფიზიკური პარამეტრების ანალიზი შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრული მეთოდისა და გრაფიკის მიხედვით:

- შემოსული მანგანუმის მადნის კონცენტრატის მთელი რაოდენობიდან აიღება საშუალო სინჯი და მასში განისაზღვრება ჯამური მანგანუმის, მანგანუმის

დიოქსიდისა და სინესტის შემცველობა. საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება მძიმე ლითონების შემცველობა;

- ნახევარპროდუქტებში განისაზღვრება დაფქვის ხარისხი, ნარჩენი მანგანუმის დიოქსიდისა და სინესტის შემცველობა;
- მზა პროდუქციაში განისაზღვრება ჯამური მანგანუმის, მანგანუმის დიოქსიდის და მძიმე ლითონების შემცველობა;
- ყველა პარტიის საშუალო სინჯი ინახება სინჯების არქივში წარმოებიდან 4 წლის განმავლობაში.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად ანალიზური ლაბორატორიის ლაბორანტის მოვალეობაა:

- აწარმოოს სინჯის აღება და კონტროლი გაუწიოს მეაპარატეს სინჯის აღების დროს;
- სწორად შეასრულოს ყველა საჭირო გაანგარიშება და გამოთვლა ანალიზის შესრულების დროს, დროულად შეიტანოს ანალიზის შედეგები ლაბორატორიის ჟურნალში;
- კონტროლი გაუწიოს ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას, რაიმე დარღვევების შემთხვევაში დროულად შეატყობინოს ცვლის უფროსს, გაიმეოროს ანალიზი და დატოვოს სინჯი საკონტროლო ანალიზისათვის;
- ანალიზის დამთავრების შემდეგ ქიმიური ჭურჭელი ჰქონდეს სუფთად;
- მკაცრად დაიცვას უ/ტექნიკის, სახანძრო უსაფრთხოების და საწარმოო სანიტარიის წესები ლაბორატორიაში.

„ჯგუფი“ საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების პრინციპებით და მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, „ჯგუფს“ შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი საქმიანობის უწყვეტ გაუმჯობესებას. „ჯგუფი“ ფლობს გარემოზე ზემოქმედების საჭირო ნებართვებს, ამასთანავე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული სქემით ყოველკვარტალურად და ყოველწლიურად ახორციელებს მონიტორინგს ქარხნის ტექნიკური მდგომარეობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვაზე. „ჯგუფი“-ს მიდგომა დაფუძნებულია გარემოზე ზემოქმედების რისკების იდენტიფიცირებაზე, შეფასებასა და კონტროლზე ბიზნესის ყველა ეტაპზე კვლევებიდან დაწყებული, ექსპლუატაციის ჩათვლით. ჩვენ ვთანამშრომლობთ დაინტერესებულ მხარეებთან და მხედველობაში ვიღებთ მათ მოთხოვნებსა და ცოდნას გადაწყვეტილებების მიღებისას. „ჯგუფი“ მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს, ან, სადაც ეს შესაძლებელია მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე ზეგვლენა და წვლილი შეიტანოს რეგიონში და ქვეყანაში მდგრადი ეკოლოგიური მდგომარეობის შექმნაში.

ჯგუფის მისია და სტრატეგია

მისია:

ჩვენი მისიაა უსაფრთხო და ინოვაციური საწარმოო პირობების შექმნა და შესაბამისად, გვყავდეს კმაყოფილი მომხმარებლები;

ამბიცია:

ჩვენ ყველაზე უკეთ გვესმის ჩვენი მომხმარებლების, ვხედავთ მათ საჭიროებებს და ვცდილობთ, გადავაჭარბოთ მათ მოლოდინს;

სტრატეგია:

ჩვენ ვავითარებთ გრძელვადიან და კეთილგანწყობილ ურთიერთობას კლიენტებთან. „ჯგუფი“-ს სტრატეგია ეფუძნება ოთხ პრინციპს: მომხმარებელი, თანამშრომელი, ინოვაცია და პარტნიორობა.

ჯგუფის სტრატეგიული მიმართულებები

თანამშრომელი:

სტაბილური და განახლებადი სამუშაო პირობები;

მომხმარებელი:

მომხმარებლის კმაყოფილება, პასუხი ახალ მოთხოვნილებებსა და გამოწვევებზე;

განვითარება:

ინოვაცია და კონცეფციისა და პროდუქციის გაუმჯობესება.



პარტნიორობა:

სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება ცვალებად ბაზარზე.


ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა

შვილობილი კომპანია „სულფეკო“ აწარმოებს გოგირჯავის ქარხნის მშენებლობის სამუშაოებს, რომლის დასრულების შემდეგ დაიწყებს ბაზარზე ოპერირებას. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს მხოლოდ ადმინისტრაციულ განყოფილებას, რომლის შემადგენლობაშიც შედის დირექტორი და ბუღალტერი.

შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“-ს „წარმოებისა და პროცესების მართვის“, „ორგანიზაციული“, „კომერციული“, „უშიშროებისა“ და „სამეურნეო“ სამსახურების სტრუქტურები მოცემულია წინამდებარე გრაფიკებში, რომელთა საშუალებითაც კომპანია ახერხებს ეფექტიანად ფუნქციონირებას:




აომარიციული სამსახურის სტრუქტურა



უშიშროების სამსახურის მართვის სტრუქტურა



სამაურნეო სამსახურის მართვის სტრუქტურა



სვოტ ანალიზი

„ჯგუფი“ ყოველთვის აკეთებს წლიურ შეფასებას, თუ რა შესაძლებლობები აქვს და რა გამოწვევების მიღება შეუძლია ბაზარზე; ქვემოთ ჩამოთვლილია შესაძლებლობები და საფრთხეები, ასევე „ჯგუფი“-ს ის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც 2023 წლის ბაზრის კვლევამ აჩვენა:

ძლიერი მხარეები	შესაძლებლობები
ძლიერი წარმოება, ბაზრის ლიდერი სამართლიანი საწარმოო პოლიტიკა ქვალიფიციური თანამშრომლები არტფელის გაზრდა	◇ მუდმივი სწრაფვა ინოვაციებისადმი ◇ ახალი ტექნოლოგიები ◇ პროდუქტებისა და წარმოების
მგრძნობიარე ეკონომიურ განვითარებაზე დამოკიდებულება სახელმწიფო რეგულაციებზე/ნებართვებზე	◇ კონკურენტული გარემო

ჯგუფის განვითარება და მიზნები

ჩვენ მკაფიოდ გვაქვს განსაზღვრული „ჯგუფი“-ს მიზნები და დიდი ენთუზიაზმით ვცდილობთ მათ განხორციელებას.

ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არსებული შემოსავლის გაუმჯობესებაა. შესაბამისად, „ჯგუფი“ ცდილობს, წარმოების სფეროში ტექნოლოგიის განვითარების პროცესს არ ჩამორჩეს. განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ძლიერი პრომოუშენი, რომელსაც „ჯგუფი“ თავისი მარკეტინგული ჯგუფის დახმარებით ახორციელებს. ახალი კლიენტების მოსაზიდად რეგულარულად ტარდება ანალიზი არსებული კლიენტების კმაყოფილების მაჩვენებლის გასაზომად, ხოლო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით „ჯგუფი“ მუდმივად ზრუნავს ბიზნესის ყველა ასპექტის გაუმჯობესებაზე.

ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ვალდებულებებს და ვიღებთ პასუხისმგებლობას თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე. „ჯგუფი“-ს მენეჯმენტის ძირითადი პრინციპია პატიოსნება, საიმედოობა და ლოიალურობის პოლიტიკა კლიენტებისადმი. ასევე, ჩვენი მიზანია, შევთავაზოთ საზოგადოებას დასაქმების ხარისხიანი და სტაბილური სისტემა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი თანამშრომლები მომავალშიც ხედავდნენ საკუთარ თავს ჩვენს „ჯგუფი“-ში და ჰქონდეთ კარიერული განვითარების შესაძლებლობა.

ჩვენ მუდმივად ვიმყარებთ ცოდნასა და უნარებს უკეთესი პროდუქტის შესაქმნელად და იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ლიდერობა ბაზარზე.

კლიენტის კმაყოფილება

„ჯგუფი“ ზრუნავს, რომ შეინარჩუნოს წარმოების მაღალი ხარისხი და ორიენტირებულია მომხმარებლის კმაყოფილებაზე.



„ჯგუფი“-ს პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია საიმედოობა. ზრუნვა კლიენტებზე „ჯგუფი“ ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ჩვენი მოვალეობაა, დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი კლიენტები კმაყოფილები არიან ჩვენთან ურთიერთობის დროს. ამ პოლიტიკის განხორციელებაში უმთავრესი როლი ჩვენს თანამშრომლებს აკისრიათ. მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა, რათა დროულად შეძლონ პრობლემის ამოცნობა და შესაბამისი პოლიტიკის გატარება.

ჯგუფის შიდა პოლიტიკა

„ჯგუფი“-ს ბიზნესი ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით და მას არეგულირებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. მმართველი მენეჯმენტი კარგად იცნობს იმ საკანონმდებლო ბაზას, რომლის მოთხოვნების დაცვა არის „ჯგუფი“-ს პრიორიტეტი. ზემოხსენებული ნორმატიული აქტების შესაბამისად „ჯგუფს“ შემუშავებული აქვს თავისი შიდა პოლიტიკა.

ჯგუფის სოციალური და დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები

„ჯგუფი“-ში 2023 წლის ბოლოს დასაქმებული იყო საშუალოდ 98 ადამიანი, რომელთა შრომა, ქცევა, მომხმარებლებთან და ერთმანეთთან ურთიერთობა რეგულირდება ორგანიზაციის შიდა განაწესითა და ეთიკის კოდექსით.

„ჯგუფი“ იცავს საქართველოს შრომის კოდექს. გარდა ამისა, დამატებით უზრუნველყოფს თანამშრომლებს უფასო კვებითა და დაზღვევით.

ჯგუფში შემავალი კომპანიების პერსონალის შერჩევა, ვალდებულებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

„ჯგუფი“-ში შემავალ კომპანიებში მოქმედებს კადრების შერჩევის მკაცრი სისტემა, რომლის მიხედვითაც თანამშრომლების აყვანის პროცესი ეტაპებადაა დაყოფილი. ვაკანსიის გამოცხადების შემდეგ CV-ის საფუძველზე ხდება კანდიდატების შერჩევა გასაუბრებისა და ტესტირებისთვის. გასაუბრების საფუძველზე კანდიდატი ინიშნება შესაბამის პოზიციაზე გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 3 თვის ვადით. გამოსაცდელი ვადა ანაზღაურებადია. თანამშრომლის სამსახურში აყვანა ხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია დასაქმებულის თანამდებობა, შრომითი ფუნქცია, უფლება- მოვალეობები, სამუშაოდან გათავისუფლების წესი, შვებულება, შრომითი ანაზღაურების ოდენობა და ყველა სხვა პირობა, რომელიც მიიღწევა მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.

თანამშრომელს მოეთხოვება იყოს პატიოსანი, ობიექტური, ყურადღებიანი, თავაზიანი და გულისხმიერი, როგორც კლიენტების, ასევე კოლეგების მიმართ. ის ვალდებულია აიცილოს კონფლიქტური სიტუაციები და არ დაუშვას ფაქტის განზრახ დამახინჯება და არაპროფესიონალური მოქმედება.

მათ ეკრძალებათ სამსახურში გამოცხადება არაფხიზელ მდგომარეობაში, ამასთანავე ალკოჰოლის და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება სამუშაო საათებში. თანამშრომელთა შორის სამუშაო ადგილზე აკრძალულია ურთიერთობები, რომლებიც სცილდება სამსახურებრივ ურთიერთობას და ეთიკის ფარგლებს.

დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში კომპანიების თანამშრომლების მიმართ უფლებამოსილ პირს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ზომები:

1. საყვედური
2. სასტიკი საყვედური
3. ფინანსური სანქციები;
4. ხელშეკრულების მოშლა და სამსახურიდან გათავისუფლება;

ყველა ზემოაღნიშნული დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება დასაბუთებული უნდა იყოს წერილობით.

ყველა ეს და სხვა დეტალები კომპანიებს გაწერილი აქვს თავის შიდა განაწესში, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შრომითკოდექსს.

ჯგუფში შემავალი კომპანიების უსაფრთხოება

„ჯგუფი“-ში შემავალი კომპანიების ადმინისტრაცია ზრუნავს როგორც ვიზიტორების, ასევე თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს. პიროვნება, რომელიც კომპლექსში რაიმე ფორმით დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან/და საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეთა/თანამშრომელთა უსაფრთხოებას, დაუყოვნებლივ გამეფებულ იქნება ტერიტორიიდან. ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი რეაგირება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საწარმოს შესასვლელში მოწყობილია მიმღები, სადაც ვიზიტორი ვალდებულია კომპანიების თანამშრომლებს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან მოქალაქის პასპორტი, რათა მოხდეს მისი იდენტიფიცირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას საწარმოს ტერიტორიაზე არ დაუშვას რომელიმე კონკრეტული პიროვნება.

კომპანიების ენერგოსისტემა უზრუნველყოფილია მუდმივი დენის წყაროთი. გარე პერიმეტრზე, შესასვლელში, დამონტაჟებულია ვიდეოსათვალითვალო სისტემა და მიმდინარეობს ვიდეოჩაწერა. ჩანაწერები ინახება კომპიუტერულ ბაზებში.

კომპანიებმა შეიმუშავეს საგანგებო მზადყოფნის დეტალური გეგმა, რათა დავიცვათ ჩვენი თანამშრომლები სხვადასხვა საგანგებო სიტუაციის დროს. კომპანიებს ასევე დანერგილი აქვს დაცვის განსაკუთრებული სისტემა, რაც ხელს უშლის სხვადასხვა სახის დარღვევას და გამოირიცხავს თაღლითობის რისკს.

ჯგუფში შემავალ კომპანიებში ჯამრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება

„ჯგუფი“-ში შემავალი კომპანიების თანამშრომელთა და ვიზიტორთა ჯამრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები და ყოველდღიური მონიტორინგი ეფექტურია ინციდენტების და უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით.

ჯგუფში შემავალ კომპანიებში ჯამრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების განსახორციელებლად, კომპანიების დირექტორების ბრძანებით, საქართველოს შრომის უსაფრთხოების კანონის მე-6 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე დაინიშნულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, რომელთაც გავლილი აქვს უსაფრთხოების მართვის კურსის აკრედიტებული პროგრამა „საფკო“ ჯგუფში და აღებული აქვთ საერთაშორისო სერთიფიკატი.

მათ ძირითად მოვალეობებს შეადგენს:

- განახორციელოს კომპანიებისთვის ჯამრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა;
- პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზება;
- პერსონალის შრომის უსაფრთხოების კულტურის ამაღლება;
- ინციდენტების და უბედური შემთხვევების პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება;
- სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების პროცედურების, ნორმების და დოკუმენტაციის შემუშავება და დანერგვა;
- სამუშაო ობიექტების მონიტორინგის განხორციელება.

ჯამრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომპანიებში ჩატარებული ღონისძიებები:

- შემუშავებულია კომპანიების შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და დამტკიცებულია დირექტორების მიერ;
- კომპანიების ფოიეში თვალსაჩინო ადგილას მოწყობილია შრომის უსაფრთხოების კუთხე (დაფა) რომელზეც გაკრულია კომპანიების შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი ინსტრუქციები;
- დასაქმებულების უფლება-მოვალეობები შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- დირექტორების შესაბამისი ბრძანებები;
- შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში თანამშრომლების მიმართ პასხისმგებლობის შესახებ;
- კომპანიების ყველა პერსონალი გაცნობილია შრომის უსაფრთხოების კანონს და შრომის უსაფრთხოების კაპოლიტიკას;
- კომპანიების პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხელთათმანი, რესპერატორი, ხმაურის ჩამხშობი ყურსაცობი, ჩაფხუტი, სათვალე სიმაღლიდან ვარდნისგან დამცავი ღვედებით დ.ა.შ);
- გამომდინარე წარმოების სპეციფიკიდან (საწარმოო მტვერი) ჯამრთელობის დაცვის მიზნით თანამშრომლებს ყოველ სამუშაო დღეს ეძლევათ 0.5ლიტრი რძე;
- კომპანიებში სამუშაოების ჩატარების დროს გასაზღვრულია რისკის ალბათობის შემცველი ზონები და ტერიტორიები და გაწერილია პროცედურები უსაფრთხო მუშაობის ჩასატარებლად;
- გაწერილია პროცედურები დახურული (ღუმელები, წისქვილი) და ღია სივრცეში უსაფრთხო მუშაობის მიზნით, ასევე სიმაღლეზე მუშაობის (ამწეები, გრეიფერული ამწე) შესახებ;
- ბრუნავი მექანიზმები და გადაბმის ადგილები დაცულია სპეციალური ხუფებით;
- ტერიტორიაზე არსებული ავზები და საცავები შემოკავებულია;
- დენის ტრანსფორმატორები და დენის კარადები აღჭურვილია გამაფრთხილებელი ნიშნებით;
- ტრანსპორტი გამართულია, მძღოლებს უტარდებათ ალკოტესტი სპეციალურიალკოტესტით;
- სამსახურში თანამშრომლებს უტარდებათ ალკო ტესტი სპეციალური ალკოპარატით;
- კომპანიებში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ზომები (ხანძარსაწინააღმდეგო კედლები კომპლექტში და ცეცხმაქრობები);
- კომპანიებს გააჩნია ევაკუაციის გეგმა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებში, დერეფნები და კიბეები აღჭურვილია სპეციალური გასასვლელის და კიბეების მაჩვენებელი ნიშნებით;
- სარემონტო სამუშაოების ჩატარების წინ თანამშრომლებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი სპეციალური შემუშავებული პროცედურის თანახმად და აღიჭურვებიან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ტექნიკით.
- კომპანიებში დამონტაჟებულ ამწეებს (ჯოჯგინა ამწე, გრეიფერული ამწე და რელსებზე სიმაღლეზე მუშა ამწე) საქართველოს მთავრობის №429 დადგეილების მოთხოვნის შესაბამისად ჩაუტარდათ ტექიკური ინსპექტირება სამუშაოსთვის ვარგისიანობის თაობაზე, ხარვეზები აღმოფხვრილი იქნა.

ფინანსური მაჩვენებლები

ბაზრის მიმოხილვა და ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიის პოზიციონირება

მანგანუმის ოქსიდისა (MnO) და მანგანუმის დიოქსიდის (MnO_2) ექსპორტში საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. ყოველწლიურად ექსპორტი ხორციელდება 45 -ზე მეტ ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტზე გატანილი მანგანუმის ოქსიდისა (MnO) რაოდენობის მიხედვით საქართველო მსოფლიო ბაზარზე მე 4-5 ადგილს იკავებს.

საქართველოდან მანგანუმის ოქსიდის (MnO) ყველაზე დიდი იმპორტიორი ნიდერლანდებია. საქართველოდან მანგანუმის ოქსიდის (MnO) იმპორტიორ ქვეყნებს რიგითობის მიხედვით წარმოადგენს :

- ნიდერლანდები
- დიდი ბრიტანეთი
- რუსეთი
- საფრანგეთი
- თურქეთი

საქართველოში წარმოებული მანგანუმის დიოქსიდის (MnO_2) ყველაზე მსხვილი იმპორტიორი რუსეთია, რომლის ბაზრის 25% წილი საქართველოდან იმპორტირებულ პროდუქცია უჭირავს. ჯგუფი აქტიურად მუშაობს აზიის ბაზრის გასავითარებლად. საცდელი პარტიები წარმატებით გაიგზავნა მაგალითად, უზბეკეთში და მენეჯმენტის მოლოდინია პროდუქციის მიწოდების მოცულობის გაზრდა .

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში მანგანუმის გადამამუშავებელი საწარმო არის მხოლოდ საქართველოში. ანალოგიური საწარმოები არის ასევე ბელგიაში, ინდოეთში, ბრაზილიასა და მექსიკაში. მიუხედავად ამისა, ოქსიდის დეფიციტის გამო ხდება მთლიანი წარმოებული პროდუქციის შეუფერხებელი რეალიზაცია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ჯგუფი“ შემოსავალს იღებს ორი ტიპის წარმოებული პროდუქციიდან, ესენია:

- მანგანუმის ოქსიდი (MnO)
- მანგანუმის დიოქსიდი (MnO_2)

2021 , 2022 , 2023 და 2024 წლებში „ჯგუფი“-ს მთლიანი აქტივების , მიღებული შემოსავლებისა და გაცემული მოგების მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია ასახულია წინამდებარე დიაგრამებში:

